№ 175 23 ღვინობისთვე, ქვირა 1866—1877 23 ღვინობისთვე, ქვირა № 175

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43
ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ: მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ: მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ: მიიღება ქართულს, რუსულს, ხომხურს და სხვ. ენებზე.
ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ჭსო-მხარეულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

(ოფიციალური)

ᲕᲘᲖᲘᲜ-ᲥᲘᲔᲕᲘ, 21 ღვინობისთვეს. ᲚᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘᲡ ᲖᲔᲘᲛᲐᲜᲘᲡ მოწინავე ჯარისაგან თითქმის უბრძოლველად, 16 ოქტომბერს, ᲫᲰᲝᲤᲠᲘ-ᲫᲔᲘᲡ დაპერის შემდეგ, საიდამაც ᲛᲣᲰᲗᲐᲠ-ᲤᲐᲨᲘᲡ და ᲘᲖᲛᲐᲘᲚ-ᲤᲐᲨᲘᲡ მეუკანავე ჯარები საჩქაროთ წავიდნენ ᲰᲐᲡᲡᲐᲜ-ᲣᲐᲚᲔᲨᲘ, ჩვენი ცხენოსანი ჯარი უკან გამოუდგა და ღამის 2 საათზე თავსდაეცა მტერს. ᲝᲗᲮᲐᲡᲘ ცხენოსანი ყაზახი ერთის ბატარეიით, ცოტა ხნის სროლის შემდეგ, შეცვივდა მტრის ბანაკში, 100 კაცი მეტი დაჩეხეს და უკუ-აქციეს მტერი. ᲔᲥᲕᲡᲘ ვერსის სივრცეზე მისდევნენ იმათ ჩვენები და გაჩერდნენ მხოლოთ მაშინ, როცა ხალხი და ცხენები ერთობ დაიღალნენ.

ᲓᲘᲚᲘᲡ 5 საათზე ᲰᲐᲡᲡᲐᲜ-ᲣᲐᲚᲔ ჩვენმა ქვევითა ჯარმა დაიჭირა; ამავე დროს ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა ᲥᲣᲠᲣᲯᲣᲧᲐᲛᲓᲘᲜ მიაწია—ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲘᲓᲐᲛ 18 ვერსზედ. ჩვენმა ჯარმა ერთ-ბაშათ 55 ვერსი გადაიარა, დაღალული იყვნენ და ამის გამო აღარ გასდიეს მტერს.

მტრის ჯარი ამ ჟამად ᲓᲔᲕᲔ-ᲑᲝᲜᲘᲜᲨᲘ არის გამაგრებული; ამ ადგილის წინ, აქეთკენ, დგანან ᲚᲔᲜᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲖᲔᲘᲛᲐᲜᲘᲡᲐ და ᲢᲔᲠ-ᲚᲣᲙᲐᲡᲝᲕᲘᲡ ატრიადები.

ᲰᲐᲡᲡᲐᲜ-ᲣᲐᲚᲔᲡᲗᲐᲜ ბრძოლა და სოლაწლულზე გადასვლა და ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲘᲡ მიახლოება ჩვენის ჯარისა დიდი ქების ღირსი მოქმედება არის.

ჩვენის მხრით ზარალი ძალიან ცოტაა; სამწუხაროთ, მძიმედ დაჭრილი არიან: სევერსკის პოლკის მაიორი ნიკოფორეი და ნიჟეგოროდსკისა—კაპიტანი ᲢᲔᲢᲘᲣᲪᲙᲘ. ᲐᲛᲐᲡ გარდა მსუბუქად დაჭრილია მ. Ი. Უ—ის ადიუტანტი პოლკოვნიკი ᲢᲝᲚᲡᲢᲝᲘ.

—

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 20 ოქტომბერს. ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ „Times“-ში იწერებიან, რომ რუსის ბერლინელი ელჩი უფ. ᲣᲑᲠᲘ ᲒᲝᲠᲜᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲨᲘ არის რუსეთის ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ გამოხმობილიო. ᲐᲛ გარემოების გამოხმა გავარდა, ეითომც ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲡ ᲰᲡᲣᲠᲓᲔᲡ მებრძოლთა მორიგების თაობაზე შუამდგომლობა იკისროს; ამბობენ, რუსეთიც თანახმა არის ამაზედაო.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 21 ოქტომბერს. „Times“-ის კორრესპონდენტი იწერება ᲑᲝᲒᲝᲢᲘᲓᲐᲛ, რომ 7 სექტემბრიდამ დაწყებული რუსის ჯარები თან-და-თან ვიწროთ გარს-ერტყმიან ᲞᲚᲔᲕᲜᲐᲡᲐᲝ და ამ ჟამად ისე შემოხვეულნი არიან, რომ ᲝᲡᲛᲐᲜ-ᲤᲐᲨᲐᲡᲗᲐᲜ ᲞᲚᲔᲕᲜᲐᲨᲘ მისასვლელი გზა თითქმის ყოველის მხრით შეკრული არისო. რუსის არმია ჯანმთელად და მხნედ არისო, სურსათი სამყოფად აქვთო.

ᲐᲛᲐᲕᲔ გაზეთში ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲓᲐᲛ იწერებიან, რომ როგორც რუსეთი სადმე კარგათ დაამარცხებს ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲡ, იმ წამსვე მორიგებაზე ჩამოვარდება მოლაპარაკება. ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ ცდილობს სხვა სახელმწიფოების ᲰᲐᲖᲠᲘ შეიტყოს ამ საგანზე.

ᲝᲛᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲐᲖᲘᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

ᲠᲘᲝᲜᲘᲡ ატრიადიდამ გვწერენ, რომ ᲛᲣᲰᲐ-ᲔᲡᲢᲐᲢᲘᲡ მახლობლად, ᲫᲐᲥᲣᲗᲘᲡ მთაზე დაბანაკებულს ჩვენს ჯარს, ამ თვის 19-ს, 3,000 ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ჯარი დაეცა თავს და გაცხარებული სროლა შეიქნაო. ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ ამბობს, რომ ამ სტრიქონების მოწერის დროსაც სროლა ჯერ კიდევ არ გათავებულაო. ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ბრძოლის ველიდამ 27 დაჭრილი და 3 მოკლული კაცი მოიყვანეს აქაო.

—

„ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲣᲬᲧᲔᲑᲔᲑᲨᲘ“ დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 15 ოქტომბერს ᲫᲘᲣᲠᲣᲥ-ᲓᲐᲠᲘᲓᲐᲛ მიღებული:

„ᲣᲐᲠᲡᲘᲡ სამხედრო მთავრობასთან მოლაპარაკება გვაქვს ამ ქალაქის დათმობაზე; ამ თვის 13-ს მოვიდნენ ჩვენს ჯარში ᲣᲐᲠᲡᲘᲓᲐᲛ გამოგზავნილი კაცები (პარლამენტიორები) ამ საგნის შესახებ მოსალაპარაკებლად. ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲣᲐᲠᲡᲘᲡ მცხოვრებლები თხოულობენო, რომ ქალაქი დაუთმოთ რუსებსაო; მაგრამ ციხის კომენდანტი და ჯარის უფროსი ამის წინააღმდეგნი არიან.“

ᲐᲛ გვარივე დეპეშა ამას წინათ გზ. „ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲐᲪ“ იყო დაბეჭდილი; მაგრამ მეორე დღეს ამავე დეპეშის მომწერმა, (რომელიც აგრეთვე „ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲣᲬᲧᲔᲑᲔᲑᲨᲘᲐᲪ“ იწერება ხოლმე დეპეშებს), გვაცნობა, რომ ᲣᲐᲠᲡᲘᲡ დათმობაზე მოლაპარაკება შეწყდაო და ახლა ამ ციხეს ყუმბარების დაშენა დაუწყეთო.

—

ᲕᲔᲜᲐᲡ გაზეთს „Fremdenblatt“-ს 12 ამ თვისას სწერენ ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲘᲓᲐᲛ, რომ ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲘᲡ ᲚᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲘ ამ ქალაქს ამაგრებს და მტრის დასახვედრად ემზადებაო. ᲐᲛ ᲚᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲘᲡ მოთხოვნილობით ᲘᲖᲛᲐᲘᲚ-ᲤᲐᲨᲐᲛ ერთი ნაწილი თავის არმიისა ᲗᲝᲤᲠᲐᲥ-ᲥᲐᲚᲔᲨᲘ გაგზავნა იმ განზრახვით, რომ ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲘᲡᲐᲙᲔᲜ მიმავალ რუსის ჯარს გზა გადაუღობოს.

—

„ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐᲨᲘ“ იწერებიან ᲣᲐᲠᲡᲘᲓᲐᲛ, რომ ᲘᲖᲛᲐᲘᲚ-ᲤᲐᲨᲘᲡ ᲮᲔᲚ-ᲥᲕᲔᲕᲘᲗ ითვლება ამ ჟამად სულ 30,000 კაცი, ამ რიცხვიდამ 24,000 ქვევითა კარგათ გაწრთვნილი ჯარი და 6,000 ცხენოსანი, და ამასგარდა 48 ზარბაზანი.

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

ᲮᲝᲤ. ᲡᲛᲝᲚᲠᲔᲢ-ᲢᲠᲔᲡᲢᲔᲜᲘᲙᲐ (ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲐᲨᲘ), 3-ს ოქტომბერს („ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ კორრესპონდენცია). ᲝᲪᲡ ᲘᲕᲚᲘᲡᲐᲛᲓᲘᲡ უკვე გაუწყეთ ჩვენი ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲘᲡ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲡ მოქმედება და ეხლა მოისმინეთ იმის შემდეგი დანარჩენი შემთხვევები.

ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ 21-ს მიველით ქ. ᲞᲚᲔᲕᲜᲝᲡ დასაზვერავათ (რეკოგნოსცეროვკა), თუ როგორ მდგომარეობაში არიან ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲑᲘ და როგორ არიან გამაგრებულნი შემდეგ თვრამეტი ივლისისა;—აღმოჩნდა რომ მოჰმატებიათ ჯარი და უფრო წინ წამოუწევიათ თავიანთი ფართო პაზიცი-

ები. ᲕᲬᲐᲮᲔᲗ, რომ თვითეული ბატარეიაზედ ტელეგრაფი აქვსთ გაყვანილი და აცნობებენ ერთმანეთს თავიანთ ძალასა და სისუსტეს, და საითაც მომეტებულათ მოითხოვს საჭიროება, იქით ეშველებიან დანარჩენები. Დანახვის უმალ დაგვიწყეს ᲙᲠᲣᲞᲘᲡ ᲖᲐᲠᲑᲐᲖᲜᲔᲑᲘᲓᲐᲛ სროლა და ამ სახით დავბრუნდით უკან უზარალოთ და მოველით ს. ᲑᲝᲒᲝᲢᲨᲘ.

Ივლისის 24-ს გადაველით ᲑᲝᲒᲝᲢᲘᲓᲐᲛ ს. ᲘᲝᲒᲚᲘᲤᲨᲘ, ᲚᲝᲕᲩᲘᲡ მახლობლათ.

Ივლისის 26-ს მიველით მარცხენას მხრით ᲚᲝᲕᲩᲘᲡ დასაზვერათ და აღმოჩნდა, რომ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲑᲡ მხოლოდ ქალაქის ნაპირი დაუჭერიათ სიმაგრით; ჩვენ თოფის მანძილზედ მიველით იმათს ბატარეიასთან და თუმცა ზარბაზანს შეუწყვეტლივ გვესროდნენ და ზარბაზნის ტყვიებიც შიგ ჩვენს შუაში სქდებოდა, მაგრამ ჯერ წინ წავიწიეთ, და შემდეგ დავბრუნდით. მხოლოდ ერთი ცხენი დაგვიჭრეს ზარბაზნის ტყვიის ნატეხით. Დაბრუნების დროს შემოგვიტიეს ჩერქეზებმა და ბაშიბუზუყებმა, მაგრამ ვერა გაიტანეს-რა, მხოლოდ ერთი ოსის ურიადნიკი დაგვიჭრეს მხარში.

Ივლისის 27-ს დილით ᲚᲝᲕᲩᲘᲓᲐᲛ გამოვიდა რამოდენიმე ნაწილი ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ჯარი ქვეითი და ცხენოსანი თავიანთ ზარბაზნებით ჩვენი ჯარის დასაზვერავათ.

წინ ჩვენი ქვეითი ჯარი დაუხვდა შოსეს გზაზეთ და მალე დაბრუნდნენ უკანვე ᲚᲝᲕᲩᲐᲨᲘ. Ამ დაბრუნების დროს შემოგვიტია ჩვენ ხუთასამდის ჩერქეზმა და შეგვექნა გახურებული სროლა Უმაროცისა და ᲚᲝᲕᲩᲘᲡ შუა: მოუკალით სამოცზე მეტი და ამასთან მათი წინამძღომი ჩერქეზის თავადი. Ამ შემთხვევაში ოსების დივიზიონი უფრო ყოჩაღათ იყვნენ, ნამეტნავათ Დუდაროვს პირველი სოტნა. აქ აღნიშნული მოკლული ჩერქეზის თავადის ძვირფასი ხმალი იმავე დღეს საღამოს ხანს გაუგზავნეთ საჩუქრათ ჩვენს ჯარის მთავარ-სარდალს Მ. Ი. Უმაღლესობას ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ ძეს Უფროსს, რომლისაგანაც დიდი მადლობა მოგვივიდა და მიმტანთ წმ. ᲑᲘᲝᲠᲒᲘᲡ ჯვრები დაურიგა.

Ამ შემთხვევის შემდეგ ჩერქეზებს ჩვენთვის აღარ შამოუბედნიათ წინააღმდეგობა, თუმცა 11-ს აგვისტომდის ვიდექით ს. ᲘᲝᲒᲚᲘᲤᲨᲘ და ავანპოსტი (ყარაული) გვეყენა ს. Უმაროცის გადაღმა ᲚᲝᲕᲩᲘᲡ მახლობლათ.

11-ს აგვისტოს გადაველით ს. ᲘᲝᲒᲚᲘᲤᲨᲘᲓᲐᲛ ᲚᲝᲕᲩᲘᲡᲐ და ქ. Სელვიოს გზაზედ, რადგან ხმა იყო, ვითომც ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲑᲘ მოდიან Სელვიოს ასაღებათაო, და ჩვენ გზა შეუკარით. Ამ ალაგას 20-ს აგვისტომდის ვიდექით. 20-ს აგვისტოს ისევე ძველს ნაბინავარზედ გადმოველით ს. ᲘᲝᲒᲚᲘᲤᲨᲘ.

22-ს აგვისტოს შეუდექით კვალად ᲚᲝᲕᲩᲘᲡ აღებას (ქ. ᲚᲝᲕᲩᲐ ერთხელ იყო ჩვენგნით აღებული ივნისშიევ მაგრამ, რადგანაც სხვა ჯარი არ დაუმატეს და მხოლოდ ერთი სოტნის ყაზახების ანაბარას გახადეს, მოვიდნენ ოსმალები და გამორეკეს ჩვენი ყაზახები და წესიერათ გამაგრდნენ). ჩვენ მივადექით Პლევნოსა და ᲚᲝᲕᲩᲘᲡ შოსეს გზით. ჩვენი დანიშნულება იყო, რომ Პლევნოსკენ არ უნდა გაგვეშო ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ჯარი. Დილის ექვსის საათიდამ შეიქნა გახურებული სროლა; ჩვენმა ქვეითმა ჯარმა აიღო ჯერ პირველი ბექური და ღელეები (რედუტი), რომელიც შემდეგ ჩვენის რეკოგნოსცირუვკისა გაემაგრებიათ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲑᲡ. შემდეგ გამაგრდნენ ოსმალები უკანასკნელ სიმაგრეებში და არ მისცეს ნება მარჯვენას მხრით ჩვენს ჯარს ზარბაზნის წინ წამოწევა სამჯობინარს პაზიციაზედ. Ამ დროს წავიწიეთ ჩვენ წინ და დაუწყეთ ზარბიზნის სროლა და რაკი უმთავრესი ყურადღება ოსმალების ბატარეიასა ჩვენზედ იყო მოქცეული და გვესროდნენ შეუწყვეტლივ და ჩვენც წინ ვიწევდით, ამის გამო მოასწრეს მარჯვენას მხრით ზარბაზნების წინ წამოწევა და ამ სახით ვიფრინეთ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ბატარეია, ზედდატანებით ქვეითი ჩვენი ჯარი მივიდა იერიშითა და რაკი ჩვენი ქვეითი ჯარი მოექცა მტრის სანგლებში და გაიქცნენ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲑᲘ, ამ დროს მარტო ჩვენმა ᲕᲚᲐᲓᲘᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲡ ყაზახის პოლკმა ოსებიანათ გადაუჭერით გზა ორ ბატალიონ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ქვეითა ჯარს, ჩაერიენით შიგ. Აირია ხიშტი და ხმალი, ექვსასზედ მეტი გავკაფეთ. Ამთვენ ჯარში მხოლოდ ერთი აფიცერი შეგვხვდა, თურმე დაჭრილი ყოფილიყო და როდესაც მივაგდეთ ცხენი და დავსჭყივლეთ „იავაშ ეჭენდი!..“ მაშინვე გადაყარა იარაღი.

მართალია, მტერი არიან, მაგრამ სიმართლე უნდა ვსთქვა, ძალიან ერთგულათ იბრძვიან და ყოჩაღათ.

Საღი და დაჭრილი ტყვეები უკან გამოვგზავნეთ და ჩვენ წინ გავყევით მტრის კვალს, ვიდრე დაღამდებოდა და ბინდი გაგვყრიდა ერთმანეთს. Ამ შემთდეგვაში Დუდაროვის სოტნა (ოსები) ვაჟკაცურათ იყვნენ. ᲮᲣᲗᲘ ათასს ამბობენ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ზარალს ამ შემთხვევაში, ჩვენის ქვეითის ჯარის მხრით ათას ხუთასი იყო დაჭრილი და დახოცილი, ამათ რიცხვში თორმეტი აფიცერი.

23-ს აგვისტოს ᲚᲝᲕᲩᲘᲓᲐᲛ გარეკილმა ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲑᲛᲐ შემოგვიტიეს, ისევ უნდოდათ წაერთმიათ ქალაქი; მაგრამ უკუვაქციეთ და როგორც შემდეგ აღმოჩნდა რამთენიმე დღის შემდეგ ეს ჯარი Პლევნოში შესულიყო.

24-ს აგვისტოს წამოველით Პლევნოსაკენ და დავსდექით ს. ᲑᲝᲒᲝᲢᲨᲘ.

(Დასასრული შემდეგ №-ში)

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ გაზეთს „Daily News“-ში დიბეჭდილია შემდეგი ტელეგრამმა 15 ოქტომბერს ᲑᲣᲮᲐᲠᲔᲡᲢᲘᲓᲐᲛ მიღებული:

„Პლევნოდამ დაბრუნებულმა ერთმა რუსის აფიცერმა მიამბო, რომ მას აქვთ, რაც ᲑᲣᲠᲙᲝᲛ ᲡᲝᲤᲘᲘᲡ გზა დაიჭირა, ᲝᲡᲛᲐᲜ-ფაშას Პლევნოში სრულებით აღარ მოდის სურსათი. Ამ ნაირად ᲝᲡᲛᲐᲜ-ფაშის არმია Პლევნოში ამ ჟამად გარსშემორტყმულად უნდა ჩაითვალოს. Რუსისა და Რუმინიის ჯარები დღე-და-ღამ მუშაობენ, გაჭყავთ თხრილები და თანდა-თან გარშემო უახლოვდებიან Პლევნოს.“

—

Გაზეთს „Новое Время“-ში არის ᲐᲑᲚᲐᲜᲝᲕᲘᲓᲐᲛ მიღებული დეპეშა, რომელიც აგვიწერს იმ ბრძოლას, როდესაც მოჰკლეს თ. Სერგეი Მაქსიმილიანის ძე ᲚᲔᲘᲮᲢᲔᲜᲑᲔᲠᲒᲘᲡ გერცოგი:

„ᲑᲣᲨᲘᲜ, 12-ს, მთელი მდ. ᲚᲝᲛᲘᲡ დაყოლებლივ მტრის (Სულეიმან-ფაშის არმიის) დასაზვერავად იყო ჩვენი (მემკვიდრის) ჯარები გაგზავნილი. Ერთმა პოლკმა აიღო მტრისაგან დატოვებული სოფ. Ივან-ჩიეთლიყი; შემდეგ ამ მდინარის მეორე ნაპირზე გადავიდნენ, ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ჯარის ბანაკს Ყადი-ქიოიში მიადგნენ, მაგრამ აქედამ ჩვენები იძულებული შეიქნენ უკან დაბრუნებულიყვნენ, რადგან დიდძალი მტერი დახვდათ და კარგათაც გამაგრებული.

„Თვითონ Სულეიმან-ფაშა ამ დროს რაზგრადში იყო. Აი ამ დროს, Ივან-ჩიეთლიყთან მოკლეს მხნე მეომარი თ. Სერგეი Მაქსიმილიანის ძე, რომელსაც ტყვია პირ-და-პირ შუბლში მოხვდა. Წაიქცა თუ არა ეს ახალგაზდა მხნე დის-წული ხელმწიფე Იმპერატორიის, იმ წამსვე Მ. Ი. Უ. მემკვიდრე მივარდა, მაგრამ მხოლოთ უსულო გვამი დახვდა.“

—

ᲑᲣᲮᲐᲠᲔᲡᲢᲘᲓᲐᲛ გაზეთს „Presse“ აცნობებენ, რომ ღვინობისთვის 12-ს მთელი დღის განმავლობაში Პლევნოსთან რუსებმა გაცხარებული ზარბაზნის სროლა დაუწყეს ამ ქალაქის გარშემო სიმაგრეებსაო. Როგორც მოგეხსენებათ, სწორეთ ამ დღეს ღენ. ᲑᲣᲠᲙᲝᲡ ჯარსა და Შევქეთ-ფაშის ატრიადს შუა შეტაკება იყო Სოფიის შოსსეზე, და ზარბაზნის სროლასაც ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ Პლევნოდამ ამ ატრიადის დასახმარებლად ოსმალოებს ჯარები არ გაეგზავნათ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

*** Ამ დღეებში რამდენსამე ყმაწვილკაცს, ქართული ლიტერატურის გულ-

შემატკივარს, მოლაპარაკება ჰქონიათ ასე ჩინებულად დაწყებული და ასე უდროოთ მოსპობილის ჟურნალის „ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘᲡ“ განახლებაზედ. საქმე იმაზედ არის ჯერ-ჯერობით შეჩერებული, რომ ამ ჟურნალისათვის სარედაქტორო ყოველის მხრით მოთავსებული და ყველა პირობების დამაკმაყოფილებელი კაცი ვერ უპოვნიათ.

რადგან ამ ჟამად ჩვენ არცერთი ჟურნალი არ გაგვაჩნია ქართულს ენაზე, რადგან ჟურნალი აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, ამისათვის იმედი გვაქვს, რომ ამ დაბრკოლებას თავიდამ აიცილებენ ზემოხსენებულნი ქართული ლიტერატურის წარმატებისათვის მზრუნაენი პირნი და ყოველ ღონის-ძიებას იხმარებენ, რომ ეს კეთილი განზრახვა სისრულეში მოიყვანონ...

*** ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ წარმოდგენების შესახებ ამ შემოდგომაზე ჯერ-ჯერობით სრულებით არა ისმის-რა; სანამ ჩვენ მკვიდრ ქართულ სცენას ველირსებოდეთ, მანამ ისევ ქირთული სცენის „მოყვარეთა“ ანაბარაზე და იმედით ვართ და მოველოდებით, რომ როგორც კვლავ წელსაც რამდენსამე წარმოდგენას გამართავენ...

*** ᲑᲔᲕᲠᲡ, ერობ ბევს ლაპარაკობენ ჩვენს ქალაქში იმ აყალ-მაყალზე, რომელიც გასულს ხუთშაბათს მომხდარა ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲠᲣᲟᲙᲨᲘ (კლუბში), როდესაც უფ. ᲘᲝᲜᲔᲡᲘᲐᲜᲪᲡ, უფ. ᲞᲐᲚᲘᲑᲘᲜᲘᲡ მოწინააღმდეგესა და ამ კაცის ᲙᲠᲣᲟᲙᲘᲓᲐᲛ გამორიცხვის მიზეზს, უყარეს კენჭი და კიდეც გამორიცხეს ამ კლუბიდამ.

*** Უფ. ᲗᲝᲩᲘ ᲯᲝᲯᲣᲐ, რომელზედაც „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ მე-168 ნომერში იყო რამდენიმე არა-საამური სიტყვა ნათქვამი, გვთხოვს დაუსახელოთ იმას ავტორი ამ ამბის მომწერი, „რათა კანონისამებრ მოვექცე იმასაო.“

ᲐᲛ მოთხოვნილების პასუხად უ. ᲗᲝᲩᲘ ᲯᲝᲯᲣᲐᲡ, სამწუხაროთ, იგივე უნდა მოვახსენოთ, რაც უპასუხეთ ხოლმე არა ერთს ამ გვარ პირთ: რომ ჩვენ არ ვასახელებთ ჩვენს კორრესპონდენტებს, თუ იმათ არა ჰსურთ ასპარეზზე გამოსვლა, და ვისაც თავის-თავი შეურაცხყოფილად მიაჩნია შეუძლია პირ-და-პირ რედაქციაზე შეიტანოს საჩივარი, საცა ჯერ არს.

*** ᲐᲮᲘᲠᲔᲑᲣᲚ ამბავს იწერებიან „ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲐᲛᲑᲔᲨᲘ“ ᲧᲘᲠᲘᲚᲘᲡ ფოჩტის სტანციის ზედამხედველს უფ. ᲜᲝᲕᲘᲪᲙᲘᲖᲔ: ეს დალოცვილი თურმე ადრე ისე იქცეოდა, როგორც კეთილ-სინდისიან კაცს შეეფერება: მოვიდოდა თუ არა ფოჩტა, იმ წამსვე დაურიგებდა ვისიც წიგნი ანუ გაზეთები იყო. მაგრამ ახლა, როდესაც ასე მოუთმენლად მოელის ხალხი ყოველ გვარ ახალ ამბებს ბრძოლის ველიდამ, ახლა თურმე საღამოს 5 საათიდამ მეორე დღის 10 საათამდინ გაზეთები და წიგნები უყრია თავის კანტორაში და პატრონებს არ აძლევს.

მაგიერად კორრესპონდენტი სრულის სიმართლით აქებს ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ფოჩტის სტანციის ზედამხედველს, რომელიც ფოჩტის მოსვლის შემდეგ ერთს საათში ურიგებს ყველას თავის წიგნებსა და გაზეთებსა.

„ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲚᲐᲛ, 11 სექტემბერს *). დადგა შემოდგომა და ბუნებამ ფერი იცვალა: დადინჯდა და დარბაისლდა, დამძიმდა. ღამეებმა დაიჭირეს პირველი ალაგი სიდიდით. მზემ დაკარგა სიცხოველე; ის თავის სხივებს ზარმაცად, ულონოთ ისვრის, თითქო გამოლეეია ჰარაქათიო. ᲐᲐ გულდამწვარ მგლოვიარესავით ხშირ-ხშირად შავი შესამოსლით იმოსება და თვალებს იცრემლიანებს. ᲢᲧᲔ და ველი საცურავად მომზადებულ ვაქკაციით ტიტვლდებიან და რაღაც ჩაფიქრიანებულები ხდებიან; ბალები და ვენახები ცარიელდებიან,—ყველაფერი გულ-გრილათ შეყურებს შემოდგომის ბუნებას. ᲤᲠᲘᲜᲕᲚᲔᲑᲡ აღარ მოეწონათ ,ეს დროა და პევრმა მათგანმა არჩიეს აქაურობას შორს მოგზიურობა. Მაგრამ რაც დარჩნენ ფრინველები, აღარც ისინი არიან კარგ გუნებაზედ...

ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ,—თითქო დაუსრულებია თავის საქმე-მოვალეობაო, — ეხლა ისწრაფის დაისვენოს, როგორც მძიმეთ დაღალული მეომარი...

×

ᲩᲕᲔᲜᲡ გლეხს კი ჯერ არ მოუცლია დასასვენებლათ. Ის თუმცა მეტის-მეტი დაღლილია, მეტად მოუძლურებული და დაქანცულია, ჯანი და ღონე მილეული აქვს ბევრის ჯაფით,—მაინც კიდეე საწყალს არ შეუძლიან მოისვენოს, თუ უნდა, რომ ძაღლ-უმადურათ იცხოვროს. ᲔᲮᲚᲐᲪ ბევრი თავში საცემი საქმე აწუხებს. Ის მანც მოუსვენარია დღე და ღამ! ᲔᲮᲚᲐᲕᲔ უნდა დაეშუროს [illegible] ᲗᲘᲗᲔᲡᲚᲡ; ზოგი ეხლა გუთანსა [illegible] ᲜᲐᲮᲡ უვლის, საზამთროთ შეშა უნდა მოიმზადოს და სხ. და სხ.

Მაგრამ, რაც უნდა იყვეს, სხვა დროსთან შედარებით, ეხლა მაინც უფრო მცირე საქმეები აქვს გლეხ კაცს.

ᲘᲛᲐᲜ მოიმზადა პური და ღვინო, მთელი წლის სარჩო, შეავსო ცარიელი ოჯახი, შეათხელა მოვალეების რიცხვი; სახელმწიფო გარდასახადი მოიშორა, მღვდელ-დიაკვნებს კოდი პური მისცა, დალაქი გაისტუმრა, სუდია-მამასახლისები თავის კამანდით მოიპატიჟა მოისყიდა შავი დღისთვის, ბეგრებს მორჩა, დარბევას თავი დაახწია და სხ.

ᲛᲠᲗᲘ სიტყვით, აუარებელი ვალი რომ კისერს აწვა მძიმე საპალნესავით, პატ-პატა გადაიყარ-გადმოიყარა ქუდიდამ, ტვირთი შეიმსუბუქა და წელში გადრეკილი რო იყო გაიმართა...

..... ᲛᲮᲚᲐ ის უნდა იჯდეს და მოსვენებით მოუძლურებული გული, დატანჯული სული და ხორცი განკურნოს, თავის ᲪᲝᲚ-Ш-ᲕᲘᲚᲡ სიამოვნებით შეჰხაროდეს, მტერ-მოყვარეს პასუხი გასცეს და სხ.

×

Და ნეტა არის ის გლეხ-კაცობა, რომელიც ცხოვრობს ისეთ მხარეს, რომ მართლა და ამის შეტი საქმე არ აქვს, რომელსაც სხვა-და-სხვა დარდები და „ბოღმები“ თავს არ დასტრიალებენ?!.. ᲩᲕᲔᲜᲘ ქიზიჩელი გლეხი კი ახლაც ამას მოკლებულია. Იმას ნება არ აქვს თავის ᲪᲝᲚ-ᲗᲕᲘᲚᲨᲘ არხეინად დაჯდეს და ᲗᲐᲗᲘᲗᲘᲜ მუსაიფით გაძღეს. Იმას დღეს მტერი კარს უდგია, ანუ, უკეთა ვსთქვა, უპირებს კარზედ მოადგეს. Იმან უნდა შეკრიბოს უკანასკნელი ღონე, მოიმატოს გამბედაობა, გაიმაგროს გული და მტერს ლაჩრათ არ დახვდეს. Რამოდენიმე ქიზიყელი გლეხი უკვე გახდა მსხვერპლი მტრის კლანჭებისა და თავი ანაცვალა თავის ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ;—სხვებმა არ უნდა დავიეიწყოთ, ბევრმა დაუტეეა ოჯახი, ᲪᲝᲚ-ᲨᲕᲘᲚᲘ, აიღო იარაღი და გავიდა, რომ პასუპი გასცეს მძვინვარე, მოუსვენარ მტერს.

ᲘᲡᲔ კვირა და დღე არ გაიელის, რომ თითო სოფლიდამ რვა-ათი კაკი არ გაიყვანონ მტრის სადარაჯოთ. ᲨᲘᲜ მყოფებიც მზათ არიან მტერს გმირულათ დახვდნენ. ᲣᲘᲐᲠᲐᲚᲝᲗ კარზედ ფეხს არ ადგამენ. Მთავრობა ურიგებს რუსულ, ანუ რუსების ნაქონ თოფებს, წამალს, ტყვიას, ფისტონებს. Მაგრამ გლეხები ამას არ სჯერდებიან; ისინი თავიანთ მამაპაპურ თოფებს და დამბაჩებს, რომლებიც უფრო ემარჯვებათ და შეჩვეულები არიან, სწმენდენ, ასწორებენ, და სროლაში ვარჯიშდებიან. ᲕᲘᲡᲐᲪ კი ᲪᲝᲢᲐᲝᲓᲜᲐᲗ ᲘᲐᲠᲐᲚᲘᲡ გამართვა შეუსწავლია, იმას იმთენი საქმეები უჩნდება, რომ მოცალება არ აქვს....

ᲔᲠᲗᲘ სიტყვით, მთელი ᲥᲘᲖᲘᲧᲘ „ფეხზე დგას, იარაღში ზის“. Მაგრამ შიში,—ეს ბედკრული და საძაგელი ᲬᲚᲘᲔᲠᲘ

---

*) ᲔᲡ ᲡᲢᲐᲢᲘᲐ იმ დროს არის დაწერილი, როცა სიღრაღელებს თავი დანებებული ჰქონდათ თავის საქმეებზედ, დუქნები დაკეტილი იყო და დაშინებული ხალხი ირევოდა ქუჩა-ქუჩა დაფა-ზურნის ხმაზედ; როცა მოვაჭრე დედაკაცები საჩქაროთ გარბოდნენ შინასაკენ, როცა თოფებით სავსე ურემი ურემზე მოდიოდა პოლიციაში, როცა ყოველივე სასამართლო დაკეტილი იყო და ყველა, დიდიდამ პატარამდე, შეიარაღებულნი გარბოდნენ და გამორბოდნენ ექვთ-იქით, როცა ყოველივე მოცლილი მამაკაცი თავის ოჯახში, ᲪᲝᲚ-ᲨᲕᲘᲚᲨᲘ გარბოდა სანუგეშებლად... Და ამისთვის არის ეს წერილიც სხვანაირი ხასიათისა, ერთობ სახო-წარკვეთილებით დაწერილი...

ᲗᲣ დაგვიანდა ამ წერილის გამოგზავნა, ამას სხვა ისეთი მიზეზები აქვს, რომლის გაგება მკითხველისთვის არ არის საჭირო.

ᲐᲕᲢ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძნობა, მოუცილებელი ჭირი უბედური ადამიანისა,—მაინც თავისას არ იშლის,—გულს აძგერებს და აღშფოთებაში შეჰყავს. ბევრმა ბარგი, ოჯახის საბაკაული, ძვირფასი ნივთები ორშოებში ჩამალეს; იქ დალპობას და გაოხრებას რჩეულობენ, მინამ მტრის ფეხთ-ქვეშ გათელვას და ხელით ჯიჯგნას. ბევრი სახლ-კარს თავს ანებებენ და სხვაგან, უშიშარ ალაგებში, ტყეებში და სიღნაღში იხიზნებიან.

ღობე-მძვრალა ჩიტმა იცის თურმე, როცა ჭექა-ქუხილი ასტყდება, შენობის სახურავ ქვეშ ამოეფარება და ფეხებს მაღლა შეიშვერსო, რა არის,—თუ ცა ჩამოინგრევა, ის იქ შეფარებით გადაირჩენს თავს და ამას გარდა ცასაც დაიმაგრებს.

თუ უკაცრავათ არ ვიქნები, ჩვენი ზოგიერთა ქიზიყელებიც ღობე-მძვრალა ჩიტს მოგვაგონებენ, როცა ამ არეულობის დროს თავიანთ ოჯახს, ადგილ-მამულს, სახლ-კარს, სოფელს და მეზობლებს თავს ანებებენ და საწყალ სიღნაღს ხმაროობენ ფარდათ და საფრათ,—თუ მტერი მოვა, აქ შეფარებით ვიხსნით თავსაო, და თუ აქაც მოგვაწვება, მაშინ ჩვენ ვიცითო.

ამ ფიქრით და ტყუილი იმედებით ბევრი მიემატა ფთხალ სიღნაღს.. უკაცრავათ! „ფთხალს“-მეთქი! „ბულადს და თამამს“ სიღნაღის ეაჭრობას! და ეხლა არხეინად, მოსვენებით და თამამათ თავის ოთახებში განისვენებენ.

— ვა, განა მართლა ესეთი შიშია? იკითხავთ განკვირვებით.

— რა მოგახსენოთ! „როგორც ქუხს ისე არა წვიმს!“ მაგრამ ძალით ჰყვირიან: „არ-იქნა წვიმს, წვიმს! ჩქარა თავი შეიფარეთ სიმშრალეშიო!“

ჩვენი ხალხი, ხო მოგეხსენებათ, რა დაწინაურებული ხალხია ჭორებში და ცრუპენტელობაში! ამ წინაზე გავარდა ხმა, რომ ლეკებს ერთი კვირის რაღაც „მთვარის უქმები და მარხვა“ აქვსთ, თორემ ამდენი ხანიც უნდა აეკლოთ ძახეთიო. ეს ხმა ისე ჭეშმარიტი ეგონა ყველას, როგორც ის, რომ ამ არეულობის დროს ჩვენმა პატიოსანმა მოხელეებმა საყარაულოთ ამოირჩიეს და გაგზავნეს უმეტესად ისეთი საწყალ-გაჭირებულნი, მარტო-ხელნი, რომლებთაც ლუკმა ენატრებათ და შინ ქულფათი საცოდავათ უყრიათ,—ხოლო შემძლე დიდი ოჯახის-შვილებს, სოვდაგრებს, კეთილშობილებს და სხვებს არც კი უგრძვნიათ, რა ამბავი იყო. მაგრამ, აი, მესამე კვირაც გავიდა მას აქეთ და არაფერი ამბავია.

ეხლა ამას მეორე ჭორიც ზედ წამოემატა, რომ ვითომც ერთი გულხადარალეკი მთხრობლად გამოსულა, გაგზავნილი ყოფილა დაღესტნისაკენ ამბის შესატყობლათ, რომ ის დაბრუნდა და სთქვა—ყველანი მზათ არიან, ხალხი გამოჰყავთ სოფლებიდამ, რომ უარის მთქმელებს სჯიან სიკვდილითო და სხვ.

მსგავსი ჭორები ბევრი ესმისთ ჩვენს ცოდვილ ყურებს; ჩვენც მტკიცეთ ვინერგავთ გულში და, რასაკვირველია, შევსებით, გავრცელებით, გაზვიადებით, დალაგებით გარდავსცემთ ხოლმე სხვა ყურებს; ამ ყურების პატრონიც გაოთხებით და გვაათებით კიდე სხვა ყურებს უძღვნის...

—მე—

ნარევი

სამი ბერძნის მღვდელი და ერთიც ოსმალეთის მთავრობისაგან დანდობილი პირნი იყვნენ ამას წინათ ათონის მთაზე გაგზავნილი იმ განზრახვით, რომ იქაური რუსის მონასტრის მდგომარეობა გაეჩხრიკათ. ესენი დაბრუნდნენ ახლა სტამბოლში და მოახსენეს პორტას, რომ რუსის ბერები ოსმალეთის ქვეშევრდომ ბერძნებში არეულობის მოხდენასა ცდილობენ და ჰსურთ ხალხი ააჯანყონო. ამის გამო მონასტერი წაურთმევიათ ამ ბერებისათვის და ბერძნებისაგან—მიუციათ.

* * *

სპარსეთის შაჰი მომავალ წელს ხელ-მეორედ აპირებს ევროპის ქვეყნების დავლას. იმას ახლავე გაუგზავნია ევროპაში ერთი თავის ვეზირი, რომელმანც უნდა გამოუცხადოს სხვა-და-სხვა სასახლეებს, რომ შაჰი მომავალ წელს, ამა-და-ამ დროს აქ იქნებაო. უმთავრესი მიზანი შაჰის მოგზაურობისა, როგორც ამბობენ, ის არის, რომ პარიჟის მსოფლიო გამოფენა ნახოს.

* * *

პარიჟის მცხოვრებლები ჰკამენ საშუალი რიცხვით თვეში: 15,500 ხარს, 4,000 ძროხას, 18,900 ხბოს და 137,000 ცხვარს; ამას გარდა მუდამ თვე იხარჯება პარიჟში უკანასკნელი 500,000 (ნახევარი მილიონი) ფუთი ღორის ხორცი, ძეხვი, ფრინველეული, კურდღელი და სხვა.

განცხადებანი

ქუთაისში, გუბერნიის ტიპოგრაფიაში იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა „ცოლი თუ გინდა, ეს არის“! ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი ვას. აბაშიძისა.

ქართული სახალხო სიმღერები
შეგროვილი და გამოცემული
ზაქ. ჭიჭინაძისაგან.
წიგნი პირველი.
ფასი ყველგან ერთი შაური

იბეჭდება და მალე გამოვა
ლექსი
თ. ი. ზ. ჩოლაყაშვილის
გარდაცვალებაზედ
თავის სურათით
თქმული
დავით ბივიშვილისაგან
ისყიდება სხვა და სხვა წიგნის მაღაზიებში.
ფასი ყველგან ორი შაური.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი . .	11	58	9	43	2	40	1	23
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
უვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . .	9	13						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
უვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური. .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

ოცი სიტყვა თფილისიდამ:	მ.	კაპ
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნაღს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ
და სამზღვარ გარეთ:	
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა

პეტერბურგი, 20 ღვინობ.	მან.	კაპ
ერთი ბანეთი ღირს:		
ლონდონში 24 პენსი.	—	78
პარიჟში 250 სანტიმი.	—	81
მსკონტი (სარგებლისფასი)	7½	—
ბანკის ბილეთი 5%	94	50
მოგებიანი (პირველისესხი)	207	25
მოგებიანი (მეორე ესესხი)	202	50
ბირაოს ფურცლები:		
თფილ. საზნ. ბანკისა.	—	—
ხერსონის ბანკის (5½	85	25
მოსკოვის (5%). . .	85	50
აქციები:		
ოდესის საკაპრო ბანკის	177	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	—	—
შავი ზღვის ცეცხ. გემების	527	—
ქავკაზის და მერკურის .	225	—
პირვ. საზღვევ. საზღვ.	745	50
პეტერბ. საზღვევ. საზ.	235	50
მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	—

მაზანდა

თფილისი, 22 ღვინობ.	მან	კაპ
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ.	1	90
ფქვილი ფოთელი. . .	1	45
ქერი ფუთი. . . .	1	25
ბამბა ქრევნისა, ფუთი .	8	20
—ამერიკისა, ფუთი. .	8	50
გაპენტილი ბამბა ფთ.	9	50
მატყლი თუშური ფთ .	7	—
—თარაქმისა ფთ. .	3	50
აბრეშუმი ნუხური სტ.	3	—
ძონი, ფუთი. . .	5	80
ძონის სანთელი ფუთი.	8	—
სტეარინის სანთელი, ფ.	12	54
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	54
—ცხვრისა, ლიტრა. .	—	63
სპირტი, გრადუსი .	—	12
შაქარი, ბროც. ფუთი .	8	20
—ფხვნილი ფუთი . .	7	20
შავა გოგვალი, ფუთი .	26	—
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	12	—
ოქრო ½ იმპერიალი. .	8	28

Дозволено цензурою. Тифлисъ, 22 Октября 1877 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.